



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული ეროვნული კომისია

## გ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №73/15

2018 წლის 13 სექტემბერი

ქ. თბილისი

**„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106<sup>1</sup>, 106<sup>2</sup> და 106<sup>5</sup> და 177-ე მუხლების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. „ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 11 ოქტომბერი.
3. „ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 31 დეკემბერი.
4. დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დადგენილების პროექტისა და

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობის საჯაროდ გამოქვეყნება.

5. დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს, უზრუნველყოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.
6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.
8. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.

გოჩა შონია



კომისიის თავმჯდომარე - მ.შ.

მაია მელიქიძე



კომისიის წევრი

დავით ნარმანია



კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი



კომისიის წევრი